უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 24

2016 წ. "04" 10

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	156	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის	162	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)

		პროფესიული კვალიფიკაცია			
ბუღალტერი	მეხუთე	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	159	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	180	60	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	94	60	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №8 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
ანანო გიორგაძე